მუსიკალური ანბანი – მოსწავლეებისთვის აუცილებელი ცოდნა

ავტორი მაია გოგსაძე

მუსიკალური პედაგოგიკის მისამართით დღემდე გაისმის ორჭოფული კითხვები: რამდენად აუცილებელია სკოლის მოსწავლეებისთვის, მით უფრო – სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის, მუსიკალური ანბანის, კერძოდ, სანოტო ნიშნების, დამწერლობის, მუსიკალური ტერმინების შესწავლა, ან თუნდაც იმპროვიზაციის, მუსიკის შექმნისადმი ინტერესის გაღვიძება, თუ ყოველივე ეს მხოლოდ მუსიკალური სკოლის კედლებში უნდა ისწავლებოდეს? ჩემი აზრით, სასურველი შედეგის მისაღებად ყოველმა მშობელმა და მასწავლებელმა ბავშვების შესაძლებლობებზე დაკვირვებით უნდა წარმართოს მუშაობის ფორმის ძიების, დაგეგმვის, დოზირების, რეპერტუარის შედგენის, სწავლების მთელი ეს რთული პროცესი.

უნდა ვიცოდეთ, რომ მუსიკის შესასწავლად საჭირო ყველა კომპონენტი მუსიკალური კულტურის, გემოვნების განვითარებას ემსახურება. ბავშვებს ასეთ გაკვეთილებზე სასიმღერო ხმის სწორად ჩამოყალიბებასთან ერთად ბგერის სიმაღლებრივი, მელოდიურ-ჰარმონიული, მეტრ-რიტმული, ტემბრული, დინამიკური სმენაც უვითარდებათ.

დღეისთვის მუსიკალური ანბანიდან ერთ-ერთი წამყვანი საკითხი – გრძლიობა შევარჩიე.

უნდა ითქვას, რომ დამწყები მუსიკოსები, განსაკუთრებით კი თვითნასწავლები, სათანადო მნიშვნელობას არ ანიჭებენ რიტმს. მათ მუსიკაში უმთავრესი ლამაზად აჟღერებული ბგერები ჰგონიათ. სინამდვილეში ერთმნიშვნელოვნად წამყვანია ორივე კომპონენტი: ბგერაც და რიტმიც. ისინი ერთმანეთიდან გამომდინარეობენ და ერთმანეთის გარეშე არსებობა არ შეუძლიათ. სწორედ ბგერისა და რიტმის ერთობლიობა ქმნის მუსიკას.

რიტმთან მუშაობა ყოველ მუსიკოსს დაბნევის და შეფერხების გარეშე უნდა შეეძლოს. ერთ-ერთ წინა წერილში: „მუსიკალური ენის საიდუმლო“, – დაწვრილებით ვისაუბრე რიტმის მნიშვნელობაზე, მეტრსა და ტემპზე. ამჯერად ყურადღება გრძლიობაზე გავამახვილოთ.

ის, ვისაც მუსიკასთან შეხება გქონიათ, შეამჩნევდა, რომ საკუთარი დროის საზომი ერთეული მუსიკასაც აქვს. ეს პულსის დარტყმაა. „პულსი მუსიკასაც ესინჯება“ და მისი დარტყმები მუდამ თანაბარია. თუმცა გავითვალისწინოთ, რომ სიმწყობრე სხვადასხვა სიჩქარისა შეიძლება იყოს: ნელი, ზომიერი, ჩქარი. ყოველივე ეს კი ნაწარმოების ტემპზეა დამოკიდებული.

საინტერესოა, რა არის ბგერის გრძლიობა. ის ბგერის ხმოვანების ხანგრძლივობაა, ხოლო რიტმს სხვადასხვა გრძლიობის ჯგუფებად გაერთიანება ევალება.

ყოველ მუსიკალურ ბგერას თავისი გრძლიობა აქვს. ალბათ შეგიმჩნევიათ, რომ ბგერა შეიძლება იყოს არა მხოლოდ მაღალი ან დაბალი, არამედ გრძელი ან მოკლეც. მუსიკაში ბგერის ამ თვისებას გრძლიობას უწოდებენ. სანოტო სისტემაზე (დგამზე) ნოტები ხაზებსა და ხაზებს შორის განლაგდება და, ამასთან ერთად, სხვადასხვანაირადაც გამოიყურება. ზოგი თეთრია, ზოგი – შავი. ზოგს შტილი აქვს, ზოგს კი – შტილზე კუდი. სწორედ ეს ნიშნები განასხვავებს გრძლიობებს ერთმანეთისგან.

თავდაპირველად ძირითადი მუსიკალური გრძლიობების აღნიშვნები დავიმახსოვროთ, მერე კი მათი დათვლა ვისწავლოთ.

ბგერის გრძლიობა რიტმულად რომ გამოვსახოთ, აი, რას მივიღებთ:

მთელი ნოტი – ყველაზე ხანგრძლივია. ნუ დავივიწყებთ, რომ ყველა სხვა გრძლიობის ნოტი მასთან შეფარდებით იზომება ანუ დანარჩენი გრძლიობა მისი თანაბარ, ლუწ ნაწილებად დაყოფის შედეგად მიიღება. გამოისახება ოვალით, გნებავთ, თეთრი წრით და გრძლიობებს შორის ერთადერთია, რომელსაც არ აქვს შტილი.

არ გამოგვრჩეს ერთი დეტალი: მთელი ნოტის ხანგრძლივობის მიუხედავად, გასათვალისწინებელია, რა ტემპში სრულდება ესა თუ ის მუსიკალური ნაწარმოები. ამ შემთხვევაში გრძლიობები დამოკიდებული ხდება ნაწარმოების ტემპზე. მთელი გრძლიობის ნოტი, რომელიც ყოველთვის ოთხს ითვლის, ნელ ტემპში ნელა დაითვლება, ზომიერში აჩქარდება, ხოლო სწრაფში უფრო მეტად აჩქარდება. რომ არ დავიბნეთ, ტემპს თავი დავანებოთ და ერთ სიჩქარეში მყოფ გრძლიობებს დავაკვირდეთ.

ნახევარი ნოტი – მთელზე ზუსტად ორჯერ მოკლეა და ითვლის ორს. მაგალითად, თუ მთელ გრძლიობას 4 წამით შევაჩერებთ, ნახევრის გადასათვლელად 2 წამი დაგვჭირდება (ამ შემთხვევაში უკეთ გასაგებად წამს პირობით ერთეულად ვიღებ). ნახევარი გრძლიობა მთელს თეთრი ოვალით ჰგავს, ოღონდ დამატებული აქვს შტილი.

მეოთხედი ნოტი მთელზე ოთხჯერ მოკლეა, ნახევარზე კი ორჯერ მოკლე და ითვლის ერთს. ის ხომ მთელის ¼ ნაწილია. ე. ი. თუ მთელი ნოტის ხანგრძლივობა 4 წამია, ხოლო ნახევრისა – 2 წამი, მეოთხედი მხოლოდ 1 წამის განმავლობაში დაიკვრება. გამოისახება შავად შეფერადებული ოვალით და შტილით.

უფრო მცირე გრძლიობები შტილზე ეგრეთ წოდებული „კუდებით“ გამოისახება. მაგ.: მერვედი, მეთექვსმეტედი, ოცდამეთორმეტედი და ა.შ. რაც უფრო მცირეა გრძლიობა, მით მეტია კუდი.

მერვედი ნოტი – მთელზე რვაჯერ მოკლეა, ნახევარზე ოთხჯერ მოკლე, ხოლო მეოთხედზე ორჯერ მოკლე და ერთის ნახევარს ითვლის. იმისთვის, რომ მთელი გრძლიობა (დრო) შეივსოს, რვა მერვედი გრძლიობის ნოტი დაგვჭირდება, ნახევარი გრძლიობის შესავსებად – ოთხი მერვედი, ხოლო მეოთხედისთვის – ორი მერვედი.

მერვედი გამოისახება შავი რგოლით, შტილით და ერთი კუდით. მერვედი გრძლიობები ანუ გვერდიგვერდ მყოფი ორი ან მეტი მერვედი ნოტი ხშირად კუდების საშუალებით ჯგუფდება და საერთო „ზურგით“ ერთიანდება. ზურგების რაოდენობა ყოველთვის კუდების რაოდენობას შეესაბამება.

მეთექვსმეტედი ნოტი – მთელზე თექვსმეტჯერ მოკლეა და ერთის მეოთხედს ითვლის, ანუ მთელი გრძლიობის შესავსებად 16 მეთექვსმეტედი ნოტი დაგვჭირდება. მეთექვსმეტედი რვაჯერ მოკლეა ნახევარზე, ოთხჯერ მოკლე მეოთხედზე და ორჯერ მოკლე მერვედზე. მეთექვსმეტედი ნოტი ძალიან ჰგავს მერვედს, ოღონდ ერთი კუდის ნაცვლად ორი აქვს. მერვედისგან განსხვავებით, გვერდიგვერდ მყოფი ორი ან მეტი მეთექვსმეტედი ერთმანეთს ორმაგი ზურგით ებმება.



დათვლის მთავარი პრინციპი გრძლიობების განახევრებაა ანუ ძირითადი დაყოფა „ორი ერთთან“ პრინციპს ექვემდებარება. ე.ი. ყოველი წინა ნოტი მომდევნოზე ორჯერ გრძელია, სხვაგვარად – ყოველი მომდევნო წინაზე ორჯერ მოკლეა.

გვხვდება კიდევ უფრო მცირე გრძლიობები: ოცდამეთორმეტედი, სამოცდამეოთხედი და ა.შ. თეორიულად გრძლიობების დაყოფა უსასრულოდ შეიძლება, მაგრამ მათი პრაქტიკული გამოყენება შეუძლებელი იქნება.

არსებობს მთელ ნოტზე დიდი გრძლიობაც. ის ორ მთელ ნოტს უდრის, ანუ ორი მთელი ნოტის ჯამია და ბრევისი (ორმაგი მთელი) ეწოდება.